ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
ოქმი N7

დაბა ქედა

23 ოქტომბერი, 2026 წელი

სხდომა დაიწყო 12:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 12:30 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან დევაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რეზო თურმანიძე - კომისიის წევრი;
ანზორ გოგიაშვილი - კომისიის წევრი;
ნაზიმ ჩხეიძე - კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
ლევან ვერძაძე -კომისიის წევრი;
ამირან წულუკიძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდა:
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე - გურამ ანანიძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ციური ზაქარაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - დიანა ნინიძე;

მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი - გენადი ანანიძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

23.10.2026 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან დევაძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	ანზორ გოგიაშვილი	კომისიის წევრი	
3	ამირან წულუკიძე	კომისიის წევრი	
4	რეზო თურმანიძე	კომისიის წევრი	
5	ლევან ვერძაძე	კომისიის წევრი	
6	ნაზიმ ჩხეიძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის-წესრიგი:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი მუხრან სალაძე

2. „ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში II კლასის ზოგიერთი შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულების დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი გენადი ანანიძე

1. მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 სექტემბრის №გ-95.95262685 განკარგულებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება საკითხზე „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“. განკარგულების შესაბამისად დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენის ვადად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში განისაზღვრა 2026 წლის 22 ოქტომბერი, დღის 18:00 საათამდე.

აღნიშნული საკითხი სამართლებრივი კონსულტაციისათვის გადაგზავნილი იყო (წერილის ნომერი: 95-95262721; წერილის თარიღი: 29.09.2026) საქართველოს მთავრობის ადმინისტაციის იურიდიულ დეპარტამენტში. მიღებული პასუხის თანახმად (წერილის ნომერი: 03-95262785-95; წერილის თარიღი:05.10.2026) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულ დეპარტამენტს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით როგორც სამართლებრივი, ასევე ტექნიკური ხასიათის შენიშვნები გააჩნია.

საკრებულოს აპარატის უფროსმა მუხრან სალაძემ აღნიშნა, რომ შენიშვნები გათვალისწინებულია და კომისიის წევრებს გააცნო შესწორებული დადგენილების პროექტი დანართი 1 - ის სახით.

კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 4
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება) პროექტი განხილულ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე დანართი 1- ის შესაბამისად.

2. მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 სექტემბრის №გ-95.95262684 განკარგულებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება საკითხზე „ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში II კლასის ზოგიერთი შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულების დადგენის შესახებ“. განკარგულების შესაბამისად, დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენის ვადად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში განისაზღვრა 2026 წლის 22 ოქტომბერი, დღის 18:00 საათამდე.

აღნიშნული საკითხი სამართლებრივი კონსულტაციისათვის გადაგზავნილი იყო (წერილის ნომერი:95-95262721; წერილის თარიღი:29.09.2026) საქართველოს მთავრობის ადმინისტაციის იურიდილ დეპარტამენტში. მიღებული პასუხის თანახმად (წერილის ნომერი:03-95262785-95; წერილის თარიღი:05.10.2026) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდილ დეპარტამენტს საკითხთან დაკავშირებით სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია.

კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 4
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში II კლასის ზოგიერთი შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულების დადგენის შესახებ“ (დადგენილება) პროექტი განხილულ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 12:30 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში დიანა ნინიძე